თემატური სიტყვების კედელი

მოსწავლეები კითხულობენ სიტყვების კედელზე გამოკრულ თემატური ნიშნით დაჯგუფებულ სიტყვებს და იმახსოვრებენ მათ ვიზუალურ ხატებს.

სასურველია, სიტყვების კედელი განთავსდეს ისეთ ადგილას, რომ ადვილი იყოს მისი დანახვა, სიტყვების დამატება და გადაადგილება.

კლასი: I-III

მუშაობის ფორმა: ჯგუფები, წყვილები, ინდივიდუალური, მთელი კლასი.

რესურსი: სიტყვების ბარათები (თაბახის ფურცლის მესამედის ზომის).

მსვლელობა

- **სიტყვების კედლის შექმნა.** მასწავლებელი კედელზე, თვალსაჩინო ადგილას აკრავს მცირე ზომის ბარათებზე დაწერილ სიტყვებს[1]. შესასწავლი სიტყვები დაჯგუფებულია სხვადასხვა პრინციპით (მაგ., ჭურჭელი, გარეული ცხოველები, ზმნები, ბ-ზე დაწყებული სიტყვები და სხვ.). მნიშვნელოვანია, სიტყვა კედელზე მოთავსდეს უშუალოდ შესწავლის დროს.
- **სიტყვების წაკითხვა.** მასწავლებელი სიტყვების კედელზე მოცემულ სიტყვებს იყენებს მრავალფეროვანი აქტივობების ჩასატარებლად. მაგალითად:
    - მოსწავლეები კედელზე ეძებენ მასწავლებლის მიერ მითითებულ სიტყვებს.
    - მოსწავლეები სხვადასხვა პრინციპით გადააჯგუფებენ კედელზე მოცემულ სიტყვებს (მაგ., სულიერი და უსულო საგნები, მცენარეები, ზედსართავები, მსგავსი ასოების ან მარცვლების მქონე სიტყვები და სხვ.); საამისოდ, შესაძლოა, კედელზე გადააადგილონ ბარათები ან ამოწერონ სიტყვების ჯგუფები.
    - მოსწავლეები მასწავლებლის მიერ მითითებული სიტყვებით ადგენენ წინადადებებს, ამბავს, დიალოგს და სხვ.
- **ცნობადი სიტყვების კედელი.** მასწავლებელი ცალკე ამზადებს ცნობადი, ხშირად გამოყენებული სიტყვების კედელს. სიტყვები მსხვილი ასოებით არის დაწერილი. სიტყვების კედელი ხშირად უნდა განახლდეს, მაგრამ არ გადაიტვირთოს (კვირაში 5-10 სიტყვა). კედელზე მხოლოდ ის სიტყვებია გამოკრული, რომლებსაც მოსწავლეები ხშირად ხედავენ ტექსტში ან იყენებენ წერის დროს.
- **სიტყვების კედლის ხუმრობები.** მოსწავლეები სიტყვის კედელზე მოცემული სიტყვების წაკითხვასა და დეკოდირებაში ვარჯიშობენ სხვადასხვა ვარიაციით:

[1] სიტყვები შეიძლება შეირჩეს საყვარელი წიგნებიდან, სახელმძღვანელოებიდან, ჟურნალებიდან და სხვ.

- „წიწილები“ - მოსწავლეები „ფრთების“ ქნევით წარმოთქვამენ თითოეულ ასო-ბგერას, შემდეგ კი მთლიანად სიტყვას.
- „კინოვარსკვლავები“ – მოსწავლეები ჰაეროვანი კოცნის გაგზავნით წარმოთქვამენ თითოეულ ასო-ბგერას, შემდეგ კი მთლიანად სიტყვას.
- „ოპერის მომღერლები“ - მოსწავლეები სიმღერით წარმოთქვამენ ყველა ბგერას, ბოლოს – გაგრძელებული ბგერებით, მთლიანად სიტყვას.
- „ვულკანი“ - მოსწავლეები სიტყვის ყოველი ასო-ბგერის წარმოთქმისას ხმის ტემბრს უმატებენ, ბოლოს კი მთლიან სიტყვას კი ყვირილით ამბობენ.
- „ცხვირი“ - მოსწავლეები ცხვირზე მოიჭერენ თითებს და ისე გამოთქვამენ ჯერ ბგერებს, შემდეგ კი - მთლიანად სიტყვას.

მასტერკლასი თემატური სიტყვების კედლის შესახებ იხილეთ აქ: https://www.youtube.com/watch?v=tpUYLmSbfIk&t=11s

ნიმუში

ხშირი (ცნობადი) სიტყვების კედელი

და, არ რა, რომ მე, ერთი პატარა არც, კი იყო, ის ძალიან ერთხელ დაინახა მერე სულ, არა დიდი, თუ ისევ დედა ბიჭი, რის იცი, უცებ	როგორ მაგრამ უნდა, ხე ხარ, აქვს მოდის ეზო, ვარ აღარ, ეს ხოჭო შენ აცვია, ამ კარგი აბა, ერთ ვერ, ხომ მალე უფრო თქვა ბებია დღეს	ხმა ჰკითხა ახლა ვინ აი, ისე ჩემი ბოლოს მამა, რას აქ თავისი უპასუხა წყალი კარგად მოდი ხან იქ რაც შენი, მას კიდევ, ნუ ერთად მივიდა	ბევრი რატომ ორი, ჩვენ გზა, მაქვს წავიდა ჩემს დროს მეორე კაცი, ან იქით აქეთ ღრუბელი თავი სპილო პური პაპა ყველა ლამაზი გული სად, ტყე	ჯერ, ნაძვი მინდა ცივა ცხელა როცა, ასე შინ, წვიმა კატა, ხელი მზე, ყველი უთხრა მეც შემდეგ თურმე ცხოვრობს ფერადი მხოლოდ დილა თვალი ყველაზე იგი, ეგ	სიტყვა წინადადება როგორი იმიტომ ბაბუა შემოდგომა თქვენი ცოდნა პირველი რომელი შესახებ მიერ გინდა რამდენი, მათ, შენც ტექსტი რის	ფოთოლი ამის, შავი ზღაპარი ტკბილი შვილი ხილი, მისი ვის სხვა კვლავ ამოიღო მოთხრობა ოქრო როდის იდგა, ქუდი იპოვა თან ჰქვია, იმ მაინც იცინის	გაიქცა რაღაც ქვეშ ჭრელი ნახე ცოტა მთვარე ამიტომ ჩიტი ჩვენი მთელი მაშინ ასეთი პეპელა ახალი ძველი საღამო	თაგვი ყვავილი კუდი თამამობს ქოლგა შეიძლება სახლი მაგიდა სკამი ფეხი მარტო აკეთებს სადაც მეგობარი კედელი ალბათ

ფრაზეოლოგიზმების სიტყვების კედელი

გული მოუვიდა	**ენაზე აკერია**	**თავისი დრო მოჭამა**	**ხელი მოეცარა**	**ანკესზე წამოაგო**
მხარი დაუჭირა	**თავგზა აებნა**	**გული წაუვიდა**	**ყურები ჩამოყარა**	**დრო იხელთა**
მშრალზე დატოვა	**ყელში ამოუვიდა**	**სირცხვილი ჭამა**	**წყალი შეუდგა**	**არც აცია არც აცხელა**
ყბა ჩამოუვარდა	**წყალს ნაყავს**	**ვარსკვლავებს ეთამაშება**	**სახელი გაუტყდა**	**დაუკრეფავში გადავიდა**

ხილ-ბოსტნეულისა და ცხოველების სიტყვების კედელი

ხილი		**ბოსტნეული**	
ვაშლი	**ბროწეული**	**კიტრი**	**ბადრიჯანი**
ატამი	**ყურძენი**	**ბროკოლი**	
მსხალი	**ალუბალი**	**სტაფილო**	
ნესვი	**ქლიავი**	**პომიდორი**	
ანანასი		**კარტოფილი**	
შინაური ცხოველები		**გარეული ცხოველები**	
ძროხა	**ცხვარი**	**ლომი**	**ზებრა**
ძაღლი	**კურდღელი**	**სპილო**	**ნიანგი**
ღორი	**ცხენი**	**ვეფხვი**	**მელია**
კატა	**ვირი**	**ჟირაფი**	